ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების გოლო წლების ტენდენციების ანალიზი

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების ბოლო წლების ტენდენციების ანალიზი

თბილისი, 2026

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების ბოლო წლების ტენდენციების ანალიზი“, 2026.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

1. შესავალი 4

2. ბოლო წლებში საქართველოს წინააღმდეგ საჩივრებისა და მიმდინარე საქმეების მზარდი ტენდენცია 6

3. საჩივრების რაოდენობის ზრდის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები და სამოქალაქო საზოგადოების როლი ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებაში 11

4. საქართველოს წინააღმდეგ დადგენილი დარღვევების შინაარსი და ტენდენციები 13

5. საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მაჩვენებლები 15

6. დასკვნა 19

1. შესავალი

1999 წლის 20 მაისს, საქართველოსთვის ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.[1] სწორედ ამ თარიღიდან გახდა შესაძლებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრების წარდგენა კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში, როგორც „ადრეული გაფრთხილების სისტემა", ტოტალიტარიზმის ხელახლა აღმოცენების საფრთხის გამოვლენისა და პრევენციისთვის.[2] უფრო კონკრეტულად კი, ევროპული სასამართლო არის ევროპის საბჭოს ფარგლებში შექმნილი რეგიონალური სასამართლო, რომელიც დაფუძნდა 1959 წელს, და მისი მთავარი მისია არის ევროსაბჭოს 46 წევრი ქვეყნის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, სასამართლო განიხილავს როგორც ფიზიკური პირების, ისე - იურიდიული პირებისა და ხელშემკვრელი სახელმწიფოების საჩივრებს, რომლებიც შეეხება წევრ ქვეყნებში კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას. სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს წევრი სახელმწიფოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვს და მათი აღსრულების ზედამხედველობას ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს.[3]

სწორედ გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი და მისი აღსრულების შედარებით ეფექტიანი მექანიზმი ქმნის ევროპული სასამართლოს მაღალი ავტორიტეტის ერთ-ერთ საფუძველს. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ ათწლეულების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ევროპის კონტინენტზე, წევრ სახელმწიფოებში (და არამარტო) ადამიანის უფლებების სტანდარტების დადგენასა და გაუმჯობესებაში.[4]

სწორედ ევროპული სასამართლოს ავტორიტეტიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, თუ ცაკლეული მონაცემები ხშირად ხდება კონკრეტულ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თაობაზე დასკვნების გამოტანის და ინტერპრეტაციების საფუძველი. თუმცა, ამ მონაცემების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის მხედველობაში მიღება,[5] მათ შორის,

---

[1] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ქვეყნების ბოლო განახლების თარიღი: იანვარი 2026, გვ.1 https://www.echr.coe.int/press#countryProfiles

[2] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის სახელმძღვანელო, გვ. 5, ბოლო განახლება 31 აგვისტო 2025 https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/guide_art_18_eng

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლი

[4] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენის მაგალითები თემატიკის მიხედვით: https://www.coe.int/en/web/impact-convention-human-rights/#/ ასევე, Impact of the European Convention on Human Rights in States Parties: selected examples, 2016

[5] პირველ რიგში, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპული კონვენცია ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განზომილებით შემოიფარგლება და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უმეტესობა კონვენციის და ევროპული სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩება.

არამხოლოდ მოცემულ პერიოდში ქვეყნის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, არამედ ამ გადაწყვეტილებების შინაარსი, დადგენილი დარღვევის სიმძიმე, მომჩივანთა რაოდენობა, და ამ გადაწყვეტილებების აღსრულების მაჩვენებლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში იურიდიული ცნობიერების დონე და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოებისთვის აუცილებელი სპეციფიკური ცოდნიდან გამომდინარე. ამასთანავე, სტატისტიკის ინტერპრეტაციის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზოგადი კონტექსტიც - ევროპულ სასამართლოში მიმდინარე რეფორმები, მათ შორის, სასამართლოს შეცვლილი პრიორიტეტები და საქმის წარმოების პროცედურები, რაც, თავის მხრივ, არსებით გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნების სტატისტიკურ მაჩვენებლებზე.[6] შესაბამისად, ცალკე აღებული, ევროპული სასამართლოს რაიმე სტატისტიკური მონაცემი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე სრულყოფილი სურათის შექმნის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა მონაცემთა სწორი ინტერპრეტირების, დინამიკებზე გრძელვადიანი დაკვირვებით და კონტექსტის სათანადოდ გათვალისწინებით, შესაძლებელია გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა.

როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლები, ისე პრო-სახელისუფლებო მედია საშუალებები ხშირად მანიპულაციურად იმოწმებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, როგორც საქართველოში ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის და ხელისუფლების ქმედებების სისწორის დამადასტურებელ მტკიცებულებას.[7] **ამის საპირისპიროდ, ბოლო წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და სხვა საქმისწარმოების მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში შექმნილი ადამიანის უფლებათა კრიზისი ბოლო წლებში ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ხელისუფლების მიერ ამ გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკაში უკვე ისახება (ცხადია, რომ 2024-2025 წლებში ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმეებზე ადამინის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებები ჯერ არ მიუღია).** ამ მაჩვენებლების ზრდა მეტყველებს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი და ეფექტიანი სასამართლო და სისხლის სამართლის სისტემების არარსებობა მსხვერპლებს აიძულებს, დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით ევროპულ სასამართლოს უფრო და უფრო მეტად მიმართონ, როგორც სამართლიანობის მიღწევის უკანასკნელ და საბოლოო შესაძლებლობას.

---

[6] Gnomon Wise, "ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში," 2022, გვ. 53 https://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/December2022/lVhPmczSRLWXmW22BRWp.pdf?fbclid=IwAR02xPgxoVFdflQJwuXa1Gu-njYQR-kAxStnE8B2fhu_PfjhtUfVpYC4-PA

[7] Imedi.ge, "თეა წულუკიანი: „საია" მალავს იმას, რაც სტრასბურგის სასამართლოს წერილში წერია, რომ ის ამ სარჩელზე, რომელიც ეხება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ნაწილობრივ უკვე დამარცხდა", 23.01.2026 https://imedinews.ge/ge/politika/421206/tea-tsulukiani-saia-malavs-imas-rats-strasburgis-sasamartlos-tserilshi-tseria-rom-is-am-sarchelze-romelits-ekheba-2024-tslis-saparlamento-archevnebs-natsilobriv-ukve-damartskhda

2. ბოლო წლებში საქართველოს წინააღმდეგ საჩივრებისა და მიმდინარე საქმეების მზარდი ტენდენცია

1999 წლიდან, - საქართველოსთვის კონვენციის ძალაში შესვლიდან დღემდე, ევროპულ სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული აქვს 200-მდე გადაწყვეტილება. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიიღო, იყო *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ,* რომელშიც სასამართლომ ბათუმის ყოფილი მერის, თენგიზ ასანიძის განგრძობითი უკანონო პატიმრობის გამო დარღვევა დაადგინა და სახელმწიფოს მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება დაავალა.[8]

წლებთან ერთად, საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში საჩივრების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. მაგალითად, ქვემოთ მოცემული გრაფიკი #1 ასახავს 2000-2012 წლებში სასამართლოს დანაყოფებისთვის[9] გადაცემული საჩივრების რაოდენობას და დინამიკას. თუმცა ამ მაჩვენებლების ინტერპრეტაცია სათანადო კონტექსტის პირობებში უნდა მოხდეს. მაგალითად, როგორც კვლევითი ცენტრი „Gnomon Wise" სწორად აღნიშნავს, 2008-2012 წლებში საჩივრების რადიკალურად გაზრდილი ოდენობა მოიცავს არამხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა საჩივრებს, არამედ - 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტში, რუსეთის მიერ ორგანიზებულ ათასობით დაუსაბუთებელ საჩივარს, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მიერ ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებების დარღვევის შესახებ მცდარი სურათის შექმნას.[10] მოგვიანებით. სხვადასხვა წლებში, ეს დაუსაბუთებელი აპლიკაციები ევროპულმა სასამართლოდ დაუშვებლად ცნო.[11]

აქვე უნდა აღინიშნოს განსხვავება სასამართლოს მიერ მიღებულ საჩივრებსა და სასამართლო დანაყოფებისთვის გადაცემულ საჩივრებს შორის. ზოგადად, ევროპული სასამართლო არ აქვეყნებს სტატისტიკას იმის თაობაზე, თუ რამდენი საჩივარი (აპლიკაცია) მიიღო ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ კონკრეტულ წელს. ამის ნაცვლად, ქვეყნდება ინფორმაცია სასამართლო დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების რაოდენობის შესახებ. ამის მიზეზია ის, რომ თუ მომჩივანმა სასამართლოს ყველა სავალდებულო ინფორმაცია არ მიაწოდა, რაც სპეციალურად დადგენილი საჩივრის ფორმით არის განსაზღვრული, ეს საჩივარი სასამართლოს ადმინისტრაციის მიერ სასამართლოს დანაყოფებს აღარ გადაეცემა და პირდაპირ

[8] Assanidze v. Georgia (no. 71503/01), 2004 https://hudoc.echr.coe.int/?i=001-61875

[9] სასამართლო დანაყოფები (judicial formations) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები, რომლებიც შედგებიან ერთი ან რამდენიმე მოსამართლისგან და იხილავენ საჩივრებს. ეს დანაყოფებია: ერთი მოსამართლე, კომიტეტი (რომელიც სამი მოსამართლისგან შედგება), პალატა და დიდი პალატა. იხ. გვ. 6 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Stats_understanding_ENG

[10] Gnomon Wise, "ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში," 2022, გვ. 53-54

[11] Khetagurova and Others v. Georgia (nos. 43253/08 and 1548 others), 2010

ამოირიცხება. შესაბამისად, სასამართლო არარელევანტურად მიიჩნევს ყველა შესული საჩივრის შესახებ სტატისტიკის წარმოებას.[12]

გრაფიკი #1. სასამართლო დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრები 2000-2012 წლებში



გარდა ამისა, კონვენციის საქართველოსთვის „ამოქმედებიდან" პირველ წლებში საჩივრების შედარებით მცირე რაოდენობა, თავისთავად, არ უნდა განიმარტოს იმგვარად, თითქოს აღნიშნულ წლებში საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე - მომდევნო წლებში. არამედ, ეს მონაცემები მიუთითებს დროთა განმავლობაში იურიდიული ცნობიერების ამაღლებასა და ევროპული სასამართლოს ცნობადობის ზრდაზე საქართველოში. ამასთან ერთად, საჩივრების რაოდენობის დროში ზრდის/კლების ანალიზის დროს, გასათვალისწინებელია რომ ევროპული სასამართლოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეროვნული ღონისძიებების ამოწურვა აუცილებელია და უმეტეს შემთხვევებში, მსხვერპლი უფლების დარღვევის ფაქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიმართავს ევროპულ სასამართლოს (მაგ. არაეფექტიანი გამოძიების შემთხვევაში უშედეგო გამოძიების დემონსტრირების მიზნით ან სასამართლოში დავის საბოლოო ინსტანციის გადაწყვეტილების ლოდინი წლობით ავადებს სასამართლოსთვის მიმართვას). შესაბამისად, ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ცვლილება შედარებით ნელი ტემპით აისახება ევროპული სასამართლოს მონაცემებში.

რაც შეეხება 2010-2012 წლებში საჩივრების ასევე მაღალ რაოდენობას და მათ შინაარსს, მათი საკმაო ნაწილი შეეხებოდა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მძიმე

[12] European Court of Human Rights, Understanding of the Court's Statistics, 2019, p. 7 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Stats_understanding_ENG

ძალადობის და არასათანადო მოპყრობის, აგრეთვე არასათანადო სამედიცინო სერვისების პრობლემას. ამასთან, ვინაიდან ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, ამ პერიოდში არ არსებობდა სასჯელაღსრულების სისტემაში არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ უფლების დაცვის ეფექტიანი სისტემა, პატიმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა პირდაპირ მიემართათ საჩივრით ევროპული სასამართლოსთვის, ეროვნული ღონისძიებების ამოწურვის გარეშე. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მოკლე პერიოდში საჩივრების რაოდენობის ზრდა საქართველოს წინააღმდეგ.[13]

გრაფიკი #2-დან ჩანს, რომ 2013 წლიდან 2016 წლამდე საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების რაოდენობა თანდათან იკლებს. თუმცა, 2017 წლიდან, ფიქსირდება საჩივრების რაოდენობის აშკარად მზარდი ტენდენცია. კერძოდ, 2016 წელს, საქართველოს წინააღმდეგ გაგზავნილი 74 საჩივარი გადაეცა სასამართლო დანაყოფებს. ეს მაჩვენებელი თანდათან გაიზარდა მომდევნო წლებში და 2025 წელს 197 საჩივარს მიაღწია, რაც გულისხმობს რომ 2016 წლის შემდეგ, საჩივრების რაოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა.[14]

გრაფიკი #2. სასამართლო დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრები 2013-2025 წლებში



სასამართლო დანაყოფებისთვის გადაცემული საქმეების ზრდის გარდა, საყურადღებოა საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების რაოდენობის მზარდი რაოდენობაც, რასაც გრაფიკი #3 ნათლად აჩვენებს. მაგალითად, მაშინ როდესაც ევროპულ სასამართლოში 2022 წელს საქართველოს წინააღმდეგ 155 მიმდინარე საქმე იყო, 2025 წელს ეს მაჩვენებელი 227

[13] Gnomon Wise, "ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში," 2022, გვ. 61-64
[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წლიური ანგარიშები 2016-2025 წლებში, სექცია - სტატისტიკა https://www.echr.coe.int/annual-reports

საქმეს შეადგენდა.[15] აღსანიშნავია, რომ 2020 და 2021 წლებში მიმდინარე საქმეთა მაღალ მაჩვენებელში შედის აგრეთვე რუსეთის მიერ გაგზავნილი დაუსაბუთებელი საჩივრებიც, რომლებიც 2022 წელს ამოირიცხა და რთულია იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენი მათგანი იყო აღნიშნული სარჩელების წილი საერთო საჩივრების რაოდენობაში. შესაბამისად, 2022 წლიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტატისტიკური მაჩვენებლებიც რეალური საქმეების ზრდის სურათს ასახავს.

გრაფიკი #3. მიმდინარე საქმეები (pending cases)



როგორც ცხრილი #1-დან იკვეთება, ბოლო წლებში, ასევე ფიქსირდება საქართველოს მთავრობისთვის დაკომუნიცირებული საჩივრების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.[16] მაგალითად, 2021 წელს, სასამართლომ დააკომუნიცირა 23 საჩივარი, 2024 წელს - 38, ხოლო 2025 წელს ამ მაჩვენებელმა 50-ს მიაღწია.[17] დაკომუნიცირებული საქმეების ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმის დაკომუნიცირება მიანიშნებს, რომ სასამართლო საჩივარს საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნევს და მზად არის მის არსებითად განსახილველად.

[15] იქვე

[16] საჩივრის დაკომუნიცირება გულისხმობს ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფოს ინფორმირებას საჩივრის შესახებ. ამ ეტაპზე, სასამართლო სახელმწიფოსგან ითხოვს ფაქტობრივი და სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებას საქმესთან დაკავშირებით ან/და მხარეებს სთავაზობს მეგობრულ მორიგებას.

[17] ევროპული სასამართლოს მიერ სტატისტიკის ანალიზი, საქართველო https://public.tableau.com/app/profile/echr/viz/Analysis_statistics/Overview

ცხრილი #1. სასამართლოს მიერ დამუშავებული აპლიკაციები 2021-2025 წლებში

სასამართლოს მიერ დამუშავებული აპლიკაციები	2021	2022	2023	2024	2025
აპლიკაციები, რომლებიც სასამართლო დანაყოფებს გადაეცა	120	150	156	151	194
დაკომუნიცირდა	23	21	23	38	50
დაუშვებლად იქნა ცნობილი ან ამოირიცხა	110	508[18]	92	121	143
საქმეზე გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება (judgment)	17	15	20	27	16

ამ ცხრილში მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ერთსა და იმავე წელს შესული საჩივარი სხვადასხვა წელს შეიძლება დაკომუნიცირდეს ან/და დაუშვებლად იქნეს ცნობილი/დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, მაგალითად, მართალია, 2023 წელს სასამართლო დანაყოფებს გადაეცა 156 აპლიკაცია, თუმცა ამავე წელს 23 დაკომუნიცირებული საქმიდან მხოლოდ ნაწილია შესული 2023 წელს, ხოლო დანარჩენები - წინა წლებში.

აგრეთვე, მართალია 2023 წელს გადაწყვეტილება (judgment) მიღებულ იქნა 20 საჩივარზე, თუმცა სასამართლომ ჯამში 2023 წელს 17 გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს წინააღმდეგ, რაც ნიშნავს, რომ 20 აპლიკაციიდან რამდენიმე გაერთიანდა 17 გადაწყვეტილებაში.[19] გარდა ამისა, როგორც ცხრილიდან ჩანს, დაუშვებლად ცნობილი აპლიკაციების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, თუმცა ეს მაჩვენებელი თანხვედრაშია სასამართლოს მიერ ჯამურად დაუშვებლად ცნობილი საჩივრების პროპორციასთან. მაგალითად, 2025 წელს, სასამართლომ ჯამში დაუშვებლად ცნო 28 589 საჩივარი, რაც ამავე წელს დამუშავებული საჩივრების 74,1%-ს შეადგენს. ხოლო არსებითი გადაწყვეტილება მხოლოდ საჩივრების 18%-ზე იქნა გამოტანილი.[20] ეს მიანიშნებს, რომ ზოგადად, ყველა ქვეყნიდან სასამართლოში შესული საჩივრების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს ფორმალური დასაშვებობის მკაცრ კრიტერიუმებს ან/და აშკარად დაუსაბუთებელია. შესაბამისად, საქართველოსთან მიმართებით დაუშვებლად ცნობილი საქმეების მაღალი რაოდენობაც ამ ზოგადი ფაქტორიდან გამომდინარეობს.

[18] აქ მოიაზრება სწორედ რუსეთის მიერ წინა წლებში გაგზავნილი დაუსაბუთებელი აპლიკაციები საქართველოს წინააღმდეგ

[19] European Court of Human Rights, Understanding of the Court's Statistics, 2019, p. 7

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობის ანგარიში, 2025, გვ. 34 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/annual-report-2025-eng

3. საჩივრების რაოდენობის ზრდის შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები და სამოქალაქო საზოგადოების როლი ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებაში

საქართველოში ადამიანის უფლებათა კრიზისის შესახებ არამხოლოდ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციები,[21] ასევე არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია მიუთითებს, მათ შორის, სამართალდამცავთა ძალადობის დაუსჯელობის, საპროტესტო აქციების ფარგლებში გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებების მასობრივი დარღვევის, ანტი-ლგბტქ+ კანონმდებლობის მიღების, სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის სტიგმატიზების და მათ მიერ უცხოური დაფინანსების მიღების დე ფაქტო აკრძალვის და სხვა მძიმე უფლებების დარღვევის თაობაზე.[22] ამ მძიმე უფლებადარღვევებს თან ახლდა სახელმწიფო ინსტიტუტების, - მმართველი პარტიის მიერ მართლმსაჯულების სისტემის მიტაცება და დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტების გაუქმება.[23]

საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე მიუთითებენ საქართველოში დემოკრატიის საგანგაშო გაუარესების თაობაზეც. V-dem-ის 2025 წლის ანგარიშის თანახმად, 2024 წელს საქართველომ ელექტორალური დემოკრატიის ქვეყნებიდან ელექტორალური ავტოკრატიების სიაში გადაინაცვლა.[24] შესაბამისად, ამ პირობებში ლოგიკურია, რომ როდესაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობას რეპრესიები მოჰყვება, ხოლო მსხვერპლებს მართლმსაჯულების სისტემა არ უზრუნველყოფს დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტიანი მექანიზმებით, უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, როგორც უფლებების აღდგენის ერთადერთ შესაძლებლობას.

---

[21] ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები, ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი https://socialjustice.org.ge/ka/products/adamianis-uflebebis-krizisi-sakartveloshi-2024-tslis-saparlamento-archevnebis-shemdgom

[22] OSCE fact-finding mission on Georgia (2026) under paragraph 12 of the Moscow Mechanism, Report on Developments in Georgia in Respect of Human Rights and Fundamental Freedoms since Spring 2024 https://odihr.osce.org/sites/default/files/documents/official_documents/2026/03/odgal0009c1%20ODIHR%20NV%2082-2026%20report_Moscow%20Mechanism%20invoked%20in%20respect%20of%20Georgia_0.pdf
Human Rights Watch, Georgia Human Rights Report, Events of 2024, https://www.hrw.org/world-report/2025/country-chapters/georgia_Events_of_2025, Georgia Human Rights Report, Events of 2025, https://www.hrw.org/world-report/2026/country-chapters/georgia
Amnesty International, Report 2024-2025, Georgia https://www.amnesty.org/en/location/europe-and-central-asia/eastern-europe-and-central-asia/georgia/report-georgia/
Freedom House, Country Georgia, https://freedomhouse.org/country/georgia
Amnesty International Report 2024-2025, Georgia https://www.amnesty.org/en/location/europe-and-central-asia/eastern-europe-and-central-asia/georgia/report-georgia/

[23] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, "დაშლილი, მიტაცებული, გაუქმებული": საქართველოს დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტების ბედი ავტოკრატიზაციის პირობებში, 26.12.2025 https://socialjustice.org.ge/ka/products/dashlili-mitatsebuli-gaukmebuli-sakartvelos-damoukidebeli-sazedamkhedvelo-institutebis-bedi-avtokratizatsiis-pirobebshi

[24] V-Dem, Democracy Report 2025, 25 Years of Autocratization – Democracy Trumped?, p.26 https://www.v-dem.net/documents/60/V-dem-dr__2025_lowres.pdf

ევროპული სასამართლოს საქმიანობის ისტორიის განავლობაში, სამოქალაქო საზოგადოებას განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული კონვენციით გარანტირებული უფლებების შინაარსის ფართოდ განმარტებასა და პრაქტიკის განვითარებაში, რაც სოციალური აქტივიზმის სახელით არის ცნობილი.[25] წლების განმავლობაში, ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ასევე დიდი წვლილი აქვთ შესრულებული უმძიმესი უფლებადარღვევის მსხვერპლებისთვის კვალიფიციური უფასო იურიდიული დახმარების და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ევროპულ სასამართლოში მათი ინტერესების წარმომადგენლობაში.[26]

თუმცა, 2024-2024 წლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უპრეცედენტო შემღუდველი კანონმდებობის მიღების,[27] სტიგმატიზებისა და მადისკრედიტირებელი დეზინფორმაციული კამპანიების,[28] უცხოური დაფინანსების მიღებაზე წინასწარი ნებართვის დაწესების,[29] ლეგიტიმურ ადამიანის უფლებათა საქმიანობაზე სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყებისა და რამდენიმე ორგანიზაციისთვის საბანკო ანგარიშების დაყადაღების შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დე-ფაქტო ლიკვიდაციამდე მივიდნენ. შესაბამისად, მათ მიერ გაწეული უფასო იურიდიული დახმარების სერვისები და ადგილობრივი და საერთაშორისო სამართალწარმოების შესაძლებლობები მძიმედ დაზიანდა, რაც ასევე აისახა მათ ადამიანურ და ფინანსურ შესაძლებლობაზე, უფასო იურიდიული დახმარება გაუწიონ მსხვერპლებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტიგმატიზებამ მსუსხავი ეფექტი იქონია მსხვერპლებზეც, რომლებიც უარს ამბობენ სამართალწარმოებაზე და ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ იურიდიულ სერვისებზე მათთან აფილირების შესაძლო ნეგატიური

---

[25] Cichowski, Rachel A., 'Civil Society and the European Court of Human Rights', in Jonas Christoffersen, and Mikael Rask Madsen (eds), The European Court of Human Rights between Law and Politics (Oxford, 2011; online edn, Oxford Academic, 22 Sept. 2011)

[26] მაგალითად, საქმეები: Maisaia v. Georgia (no. 75969/14), 2024 https://hudoc.echr.coe.int/?i=001-233409
Tkhelidze v. Georgia (no. 33056/17), 2021 https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-210854
Georgian Muslim Relations and Others v. Georgia (no. 24225/19) https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-229159

[27] სსო მეტრი 2024, ქვეყნის ანგარიში: საქართველო, გვ. 8-20 https://csometer.info/sites/default/files/2025-06/GEO%20CSO%20Meter%202024%20Country%20Report%20Georgia_0.pdf

[28] Eastern Partnership Civil Society Forum, Battered but Resilient, Georgian civil society in the context of the law on "Transparency of Foreign Influence": an EaP CSF survey, October 2024 https://eap-csf.eu/content/uploads/2024/10/EaP-CSF-Georgia-report_October-2024.pdf?utm_source=newsletter&utm_medium=email&utm_term=2024-10-09&utm_campaign=New+EaP+CSF+report+on+Georgian+civil+society+&fbclid=IwY2xjawFza3hleHRuA2FlbQIxMAABHW-TPBEhlndjMx4aU9U2tX_BbIYCeHC4l9Q_wBSbonAbBrk8SDnN1qcJdA_aem_HGr8ah5DTQjWVcAivcAQHw

[29] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება" პრაქტიკულად ანადგურებს პოლიტიკურ თავისუფლებებს - გრანტების შესახებ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტებში დაგეგმილი ცვლილებების ანალიზი", 02.02.2026 https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-praktikulad-anadgurebs-politikur-tavisuflebebs-grantebis-shesakheb-kanonisa-da-skhva-sakanonmdeblo-aktebshi-dagegmili-tsvlilebebis-analizi

შედეგების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, აშკარაა, რომ ეს ფაქტორები ასევე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მძიმე უფლებების დარღვევის შემთხვევების ევროპულ სასამართლოში წარმოდგენასა და გაგზავნილი საჩივრების რაოდენობაზეც.

4. საქართველოს წინააღმდეგ დადგენილი დარღვევების შინაარსი და ტენდენციები

2020 წლიდან 2025 წლამდე პერიოდში, ევროპული სასამართლო ყოველწლიურად, 10-დან 18-მდე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს წინააღმდეგ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა ერთი გადაწყვეტილება რამდენიმე საჩივარს და კიდევ უფრო მეტ მომჩივანს აერთიანებდეს. მაგალითად, გადაწყვეტილებაში *ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,* 5 საჩივარია გაერთიანებული, და იგი შეეხება 27 მსხვერპლს.[30]

რაც შეეხება სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ დარღვევის დადგენის მაჩვენებელს, როგორც გრაფიკი #4-დან ჩანს, 2020-2025 წლებში სასამართლოს მიერ მინიმუმ ერთი მუხლის დარღვევის მაჩვენებელი საშუალოდ 85%-ია. მაგალითად, 2021 წელს მიღებული 13 გადაწყვეტილებიდან მინიმუმ ერთი მუხლის დარღვევა დადგინდა 12 გადაწყვეტილებაში. 2025 წელს - კი 10 მიღებული საქმიდან 8 საქმეში.[31] სასამართლოს მიერ დარღვევების დადგენის სტაბილურად მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ მას შემდეგ რაც საჩივარი გადალახავს დასაშვებობის ზღვარს და სასამართლო არსებითად წყვეტს საქმეს, საქმეთა უმეტესობაში, ხელისუფლება ვერ ამტკიცებს, რომ იგი ევროპული კონვენციის მოთხოვნებს იცავს და არ დაურღვევია მომჩივნის უფლებები. თუმცა, ეს მაჩვენებელი თითქმის ყველა ქვეყნის მიმართ მაღალია და არამხოლოდ საქართველოსთვის, ვინაიდან ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებას (judgment) იღებს მხოლოდ დასაშვებად ცნობილ საქმეებზე, სადაც უკვე საქმის პერსპექტიულობა ისედაც მაღალია.

გრაფიკი #4. საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებების რაოდენობა და დარღვევის დადგენის მაჩვენებლები 2020-2025 წლებში



[30] Tsaava and Others v. Georgia https://hudoc.echr.coe.int/?i=001-233412

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წლიური ანგარიშები 2020-2025 წლებში, სექცია - სტატისტიკა

რაც შეეხება საქართველოს წინააღმდეგ დადგენილი დარღვევების შინაარსს, 2021-2025 წლებში, ეს დარღვევები ეხებოდა კონვენციის მე-6 და მე-3 მუხლებს. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში, სასამართლომ მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება და გაჭიანურებული სასამართლო პროცესი) 26 შემთხვევაში დაადგინა. ამ მაჩვენებლით, მე-6 მუხლის დარღვევა წარმოადგენს ბოლო წლებში საქართველოს წინააღმდეგ ყველაზე ხშირად განმეორებად დარღვევას და ქართულ სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიანიშნებს. რაც შეეხება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას (წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვა და ამ შემთხვევების ეფექტიანი გამოძიება), იმავე პერიოდში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა 19 დარღვევა, რაც ასევე ასახავს საპოლიციო სისტემაში არსებული არასათანადო მოპყრობის პრაქტიკების და დაუსჯელობის სისტემურ და ხანგრძლივ პრობლემას.[32]

ცხრილი #2. დარღვევების რაოდენობა კონვენციის მუხლების მიხედვით 2021-2025 წლებში

კონვენციის მუხლი	2021	2022	2023	2024	2025	სულ
მე-2 მუხლი	0	1	2	2	0	**5**
მე-3 მუხლი	2	4	3	7	3	**19**
მე-5 მუხლი	0	0	4	0	0	**4**
მე-6 მუხლი	8	6	1	6	5	**26**
მე-8 მუხლი	1	0	0	0	1	**2**
მე-10 მუხლი	1	0	0	0	1	**2**
მე-11 მუხლი	0	2	1	0	2	**5**
მე-14 მუხლი	6	1	4	2	1	**14**
1-ელი დამატებითი ოქმი	1	1	2	1	0	**5**

ასევე, საინტერესოა, რომ 2021-2025 წლებში, მთავრობას არ გაუფორმებია არც ერთი მეგობრული შეთანხმება და ცალმხრივი დეკლარაცია.[33] ეს მიანიშნებს, რომ მაშინაც კი, როდესაც მთავრობა ხედავს, რომ საქმეს აქვს წარმატების მაღალი პერსპექტივა და სასამართლო დაადგენს კონვენციის დარღვევას, იგი უარს ამბობს დარღვევის აღიარებაზე და მოითხოვს სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვას. მთავრობის ამგვარი მიდგომა მსხვერპლებისთვის ახანგრძლივებს კომპენსაციის მიღების და უფლების აღდგენის პერსპექტივას, ასევე ამ პოლიტიკის შედეგად, ევროპულ სასამართლოსაც ემატება საქმის

[32] იქვე

[33] სასამართლოს სტატისტიკის მიმოხილვა, 2025, გვ. 12 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/stats-analysis-2025-eng სასამართლოს სტატისტიკის მიმოხლივა, 2024, გვ. 12 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/stats-analysis-2024-eng აგრეთვე, სასამართლოს სტატისტიკის მიმოხლივა, 2023, გვ. 12 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/stats-analysis-2023-eng

არსებითად განხილვის ტვირთი. გარდა ამისა, ეს აჩვენებს, რომ მთავრობა უარს ამბობს იმის აღიარებაზე, რომ მის მიერ მსხვერპლის მიმართ მოხდა კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა და ასევე უარს ამბობს უფლების აღდგენისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე მანამ, სანამ სასამართლო არსებითად არ მიიღებს გადაწყვეტილებას.

5. საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მაჩვენებლები

არანაკლებ მწვავედ დგას საქართველოს მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის პრობლემა, რაც გამოიხატება ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ადამიანის უფლებათა სფეროში ხანგრძლივი სისტემური და სტრუქტურული რეფორმების გატარების პოლიტიკური ნების არარსებობაში. ზოგადად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, იგი გადაეცემა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც, თავის მხრივ, ახორციელებს სახელმწიფოს მიმართ გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობას. ამისათვის კი, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გაატარონ ინდივიდუალური ან/და ზოგადი ღონისძიებები.

ინდივიდუალური ღონისძიებების მიზანია მომჩივნის უფლებების გამოსწორება ისე, რომ შეძლებისდაგვარად აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა. თუ დარღვევის ნეგატიურ შედეგს განგრძობადი ხასიათი აქვს და დარღვევის შედეგი არ იქნა აღმოფხვრილი მომჩივნისთვის გადახდილი სამართლიანი დაკმაყოფილების (მორალური ან/და მატერიალური ზიანი) მეშვეობით, კომიტეტი განიხილავს საკითხს სახელმწიფოს მიერ სხვა ინდივიდუალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. ზოგადი ღონისძიებების მიზანია, ერთ კონკრეტულ საქმეზე დამდგარი დარღვევის თავიდან აცილება მომავალში მსგავს საქმეზე. ამისათვის, მოპასუხე სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა ჩაატაროს კონვენციის დარღვევების მიზეზების ანალიზი და შემდგომ გადადგას ნაბიჯები გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს საკანონმდებლო ჩარჩოს შეცვლაში, საჯარო მოხელეთა გადამზადებაში, კონვენციასთან შესაბამისი ადმინისტრაციული პრაქტიკის დანერგვაში და ა.შ.[34]

როგორც აღინიშნა, ინდივიდუალური ღონისძიებების მაგალითია მომჩივანისთვის კომპენსაციის დაკისრება. მაგალითად, 2024 წელს, ჯამში, საქართველოს ყველა მომჩივნისთვის დაეკისრა 85 512 ევროს გადახდა, ხოლო 2025 წელს - 748 817 ევროს გადახდა. ამ დრამატული ზრდის მიზეზია ცაავას საქმეზე 2025 წელს მიღებული გადაწყვეტილება, სადაც ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მხედველობაში მიიღო მომჩივნებისთვის საპროტესო აქციის დაშლისას მიყენებული ზიანის სიმძიმე და შედარებით მაღალი კომპენსაცია მიაკუთვნა.

[34]Department of Execution of Judgments of the European Court of Human Rights, Supervision Process, https://www.coe.int/en/web/execution/the-supervisionprocess#{%2214997657%22:[1],%2214997692%22:[],%2259551776%22:[]}

ჯამში, ევროპული კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე, მინისტრთა კომიტეტს აღსასრულებლად გადაეცა საქართველოს წინაარმდეგ მიღებული 203 გადაწყვეტილება.[35] ხოლო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ზედამხედველობა მხოლოდ 125 საქმეზე დახურა, ესე იგი - ეს საქმეები აღსრულებულად ითვლება (საქმეების 61.5%) და მათზე ზედამხედველობა შეწყდა. დანარჩენი 78 საქმე კი კვლავ მიმდინარეა. მიმდინარე საქმეების პროცენტული მაჩვენებლით, საქართველო ერთ-ერთი ბოლოა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სიაში და ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. ის უსწრებს მხოლოდ მალტას, ალბანეთს და აზერბაიჯანს.[36] მიმდინარე საქმეების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს არ გადაუდგამს აუცილებელი და საკმარისი ნაბიჯები მათი იმპლემენტაციის მიზნით და ევროპული სასამართლოს მიერ გამოვლენილი პრობლემები კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

როგორც მინისტრთა კომიტეტის 2025 წლის საქმიანობის ანგარიშიდან ირკვევა, ბოლო ათი წლის განმავლობაში ასევე შეიმჩნევა მიმდინარე აღუსრულებელი საქმეების რაოდენობის სტაბილური ზრდა. კერძოდ, როგორც გრაფიკი #5-დან ჩანს, თუ 2017 წელს მიმდინარე საქმეების ჯამური რაოდენობა შეადგენდა 36-ს, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომიტეტის წინაშე 77 აღუსრულებელი საქმე იყო. ამგვარად, ცხრაწლიან პერიოდში, აღუსრულებელი საქმეების რაოდენობა გაორმაგებულია.

გრაფიკი #5. მიმდინარე აღსასრულებელი წამყვანი და განმეორებითი საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით



[35] HUDOC database, filter by State (Georgia), language, status, last access: 26.03.2026
See also: Supervision of the Execution of Judgments And Decisions of the European Court of Human Rights, 19th Annual Report of the Committee of Ministers 2025, p. 74-75 https://rm.coe.int/2025-annual-report/48802b1633

[36] ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება, ბოლო განახლება: 02.02.2026 https://www.coe.int/en/web/execution/closed-cases იხილეთ ასევე: https://www.coe.int/en/web/execution/georgia

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული და აღუსრულებელი მიმდინარე საქმეების რაოდენობა 77-ს შეადგენდა. ამ საქმეებიდან, 48 მინისტრთა კომიტეტის გაძლიერებულ ზედამხედველობას ექვემდებარება, ხოლო 29 საქმე - სტანდარტულ ზედამხედველობას (დამატებით 1 საქმე ახალია და კომიტეტი მათ კლასიფიკაციას მის რიგით მომდევნო ადამიანის უფლებათა სხდომაზე მოახდენს).[37] საქმეების გაძლიერებული ზედამხედველობა გულისხმობს, რომ მინისტრთა კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს საქმეები ავლენს ქვეყანაში სისტემურ და ფართომასშტაბიან პრობლემას და არ შემოიფარგლება იზოლირებული და ვიწროდ ამ საქმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემით. ამის გამო კი გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქმეების აღსრულების პროგრესი კომიტეტის ყოველწლიურ შეფასებას ექვემდებარება და სახელმწიფო ვალდებულია კომიტეტს გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს.

ბოლო წლებში ასევე სტაბილურად იზრდება გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი წამყვანი საქმეების რაოდენობაც: 2021 წელს ამგვარი საქმეების რაოდენობა იყო 5, ხოლო 2026 წელს - ეს რიცხვი 10-მდე გაიზარდა.[38] ეს მიანიშნებს, რომ ქვეყანაში იზრდება და ფართოვდება იმ ადამიანის უფლებების სფეროების არეალი, სადაც ევროპულმა სასამართლომ სისტემური პრობლემები გამოავლინა.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, თუ რამდენ ხანს ხორციელდება კონკრეტულ საქმეებზე ზედამხედველობა და რამდენ ხანს რჩება საქმეები აღუსრულებელი. ამ კუთხით, 2025 წლის მონაცემებით, გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი წამყვანი საქმეებიდან 5 საქმეზე ზედამხედველობა უკვე 5 წელზე მეტია ხორციელდება. ხოლო, სტანდარტული ზედამხედველობის ქვეშ არსებული წამყვანი საქმეებიდან 9 საქმეზე ზედამხედველობა უკვე 5 წელზე მეტია ხორციელდება.[39] ეს მაჩვენებელი ნიშნავს, რომ არამხოლოდ სისტემური პრობლემების მქონე საქმეების აღსრულება ჭიანურდება (რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ სისტემური პრობლემებს აღმოფხრვას რეფორმების გატარება და დროის გარკვეული პერიოდი სჭირდება), არამედ - ისეთი საქმეების აღსრულებაც, რომლებიც შედარებით ნაკლებად მძიმე პრობლემებს ავლენენ.

რაც შეეხება გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი წამყვანი საქმეების ჯგუფების შინაარსებს:

1. **ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (ყოფილი ღარიბაშვილის საქმეების ჯგუფი)** – 2011 წლიდან, ეს საქმე აერთიანებს სამართალდამცავთა მიერ არასათანადო მოპყრობის,

[37] HUDOC.EXEC database, filer by: State – Georgia; pending cases, enhanced supervision; ბოლო წვდომა 17.03.2026

[38] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიშები, 2022-2024, სექცია - სტატისტიკა; აგრეთვე HUDOC.EXEC database, filer by: State – Georgia; pending case, leadihng cases, enhanced supervision, ნოლო წვდომა 17.03.2026

[39] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის საქმიანობის ანგარიში 2024, გვ. 70 https://rm.coe.int/gbr-2001-18e-rapport-annuel-2024/1680b4d77d

სიცოცხლის უფლების დარღვევის და არაეფექტიანი გამოძიების შესახებ მიმდინარე 18 გადაწყვეტილებას.

2. **იეჰოვას მოწმეების გლდანის მრევლის წევრები და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** - 2007 წლიდან, ეს საქმე აერთიანებს რელიგიური ნიშნით დევნის და სიძულვილის დანაშაულებს და სახელმწიფოს არაეფექტიანი გამოძიების შედეგად გამოვლენილ დარღვევებს.
3. **იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** - 2015 წლიდან, ეს საქმე აერთიანებს ჰომოფობიით მოტივირებული თავდასხმებს ლგბტქ+ თემის მიმართ და ამ ინციდენტების არაეფექტიანი გამოძიების შემთხვევებს.
4. **თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ** - 2011 წლიდან, ეს საქმე აერთიანებს სახელმწიფოს მიერ ფემიციდის შემთხვევების პრევენციის და არაეფექტიანი გამოძიების გამო დადგენილ დარღვევებს.
5. **მერაბიშვილის საქმე** - 2017 წლის ეს გადაწყვეტილება ადგენს დაკავების და წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების გამო კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას.
6. **A.D. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** - 2023 წელს მიღებული ამ გადაწყვეტილებით დადგინდა გენდერის აღიარების სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომის პროცედურის არარსებობა. **მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** - 2023 წელს მიღებული ეს გადაწყვეტილება აერთიანებს შეკრების და გამოხატვის თავისუფლების სფეროში არსებულ გამოვლენილ დარღვევებს. მართალია, ამ საქმეთა ჯგუფი გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ არ ექცევა, თუმცა მიანიშნებს გამოხატვის და შეკრების თავისუფლების სფეროში არსებულ სისტემურ პრობლემებზე და მზარდი დარღვევების ტენდენციაზე მიუთითებს.
7. **ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** - 2025 წლის დიდი პალატის მიერ განხილული ეს საქმე ეხება მომჩივნების მიმართ არაადამიანურ მოპყრობას 2019 წლის 20 ივნისს დემონსტრაციის დაშლის დროს პოლიციის მიერ კინეტიკური ზემოქმედების ჭურვების გამოყენებისა და ძალადობის გამო და მათ არაეფექტურ გამოძიებას.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ საქმეებზე ბოლო წლებში მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც აფასებს საქმეების აღსრულების პროგრესს, უფრო და უფრო კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მითითებული პრობლემების აღმოფხვრისთვის ხელშესახები ნაბიჯები არ გადადგა, მინისტრთა კომიტეტმა, 2025 წელს იდენტობის ჯგუფის საქმეებზე შუალედური რეზოლუცია მიიღო და სახელმწიფოს მოუწოდა, გააუქმოს „ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ“ კანონი.[40] აღნიშნულის მსგავსად, 2025 წლის მარტის გადაწყვეტილებით, მინისტრთა კომიტეტმა მერაბიშვილის საქმეზე მძიმე წუხილი გამოხატა სახელმწიფოს მიერ პროკურატურის რეფორმის მიმართულებით პროგრესის არარსებობის

[40] Interim Resolution CM/ResDH(2025)31, Execution of the judgments of the European Court of Human Rights, Identoba and Others group v. Georgia https://hudoc.exec.coe.int/?i=001-242461

გამო.[41] 2026 წლის მარტის გადაწყვეტილებით, მინისტრთა კომიტეტმა ასევე მწვავედ გააკრიტიკა ბოლო წლებში ცინცაბაძის საქმეების ჯგუფის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები როგორც არასათანადო მოპყრობის მძიმე და მასობრივი პრაქტიკების, ისე ამ საქმეების არაეფექტიანი გამოძიების, ისე - სპეციალური საგამოძიებო მექანიზმის გაუქმების გამო.[42]

რახ შეეხება საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებების დახურვის მაჩვენებელს, ჯამში 2024 წელს ზედამხედველობა დასრულდა 18 საქმეზე, ხოლო 2025 წელს - 7 საქმეზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლებში, არც ერთ გაძლიერებული ზედამხედველობის წამყვან საქმეზე არ დასრულებულა ზედამხედველობა, თუმცა 2024 წელს დაიხურა სტანდარტული ზედამხედველობის მქონე 4 წამყვანი საქმე, ხოლო 2025 წელს - 2 წამყვანი საქმე.[43]

6. დასკვნა

ამგვარად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და სამართალწარმოების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ სტრასბურგის სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში.

ბოლო წლებში სასამართლოს მიმართ საქართველოს წინააღმდეგ მზარდი მიმართვიანობა და გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის პრობლემები ერთდროულად ეროვნულ დონეზე არსებული უფლების დაცვის მექანიზმების მოშლასა და ადამიანის უფლებათა მძიმე ეროზიას აჩვენებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლების მძიმე დარღვევები სრულად ჯერ არც არის ასახული სასამართლოს სტატისტიკაში, რაც პრობლემის მასშტაბს კიდევ უფრო ზრდის. ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა: აღუსრულებელი და გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქმეების მაღალი რაოდენობა ადასტურებს, რომ სტრუქტურული პრობლემები გადაუჭრელი რჩება ან წლების განმავლობაში უფრო და უფრო ღრმავდება.

შესაბამისად, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვს როგორც ეფექტიანი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებას, ისე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების დროულ და სრულყოფილ იმპლემენტაციას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს კონვენციით გარანტირებული უფლებების რეალურ დაცვას ეროვნულ დონეზე და მსხვერპლთა უფლებების სათანადოდ აღდგენას.

---

[41] 1521st meeting (4-6 March 2025) (DH) - H46-13 Merabishvili v. Georgia (Application No. 72508/13) https://hudoc.exec.coe.int/?i=004-48437

[42] 1553rd meeting (9-11 March 2026) (DH) - H46-18 Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06) https://hudoc.exec.coe.int/?i=004-5830

[43] Supervision of the Execution of Judgments And Decisions of the European Court of Human Rights, 19th Annual Report of the Committee of Ministers 2025, p. 157